საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030115758305516

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/84291 **14 / ნოემბერი / 2016 წ.**

მოქ. სოსო მატკავას
მცხ: პრაღა.
ტ: 00 420 608 905 509
Email: matkava@seznam.cz

ბატონო სოსო,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა თქვენი 2016 წლის 19 ოქტომბრის N107194 წერილი, რომელიც ეხება საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკასა შორის საპენსიო უზრუნველყოფის სფეროში თანამშრომლობის საკითხს.

გაცნობებთ, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა და კანონმდებლობის ჰარმონიზაციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება. შესაბამისად, მეტად პროდუქტიული იყო ჩეხეთის რესპუბლიკის შრომისა და სოციალურ საქმეთა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი საქართველოში „ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ შეთანხმების პროექტის განხილვის მიზნით, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ 2017 წლის ბოლოსთვის იგეგმება საქართველოში არსებული სოციალური საპენსიო სისტემის მოდიფიკაცია და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საერთაშორისო ხელშეკრულებების კონცეპტუალური საკითხები გაანალიზებული იქნას ახალი სისტემის ჩარჩოში და კონსულტაციები გაგრძელდეს ახალი სისტემის დანერგვის შემდგომ.

პატივისცემით,

სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი ნინო ოდიშარია